



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030131458874321

№ 01-274/თ

13 / ივლისი / 2021 წ.

„საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ონკოლოგიურ პაციენტთა სამკურნალოდ გათვალისწინებული გავრცელებული/მეტასტაზური ავთვისებიანი სიმსივნის სანიანააღმდეგო მედიკამენტების (მონოკლონური ანტისხეულები, პროტეინ კინაზას ინჰიბიტორები და ბისფოსფონატები) ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 18 სექტემბრის N01-458/თ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

მუხლი 1. „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ონკოლოგიურ პაციენტთა სამკურნალოდ გათვალისწინებული გავრცელებული/მეტასტაზური ავთვისებიანი სიმსივნის სანიანააღმდეგო მედიკამენტების (მონოკლონური ანტისხეულები, პროტეინ კინაზას ინჰიბიტორები და ბისფოსფონატები) ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 18 სექტემბრის N01-458/თ ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამტკიცდეს „ონკოლოგიურ პაციენტთა სამკურნალოდ გათვალისწინებული გავრცელებული/მეტასტაზური ავთვისებიანი სიმსივნის (მ.შ. ცენტრალური ნერვული სისტემის (თავის ტვინისა და ზურგის ტვინის) ავთვისებიანი სიმსივნეების რეციდივი, განგრძობითი ზრდა და ინტრაორგანული მეტასტაზირება, ასევე, ინტრაორგანულად გავრცელებული ჰეპატოცელულური კარცინომა) სანიანააღმდეგო მედიკამენტების (მონოკლონური ანტისხეულები, პროტეინ კინაზას ინჰიბიტორები და ბისფოსფონატები) ნუსხა“ თანდართული დანართის შესაბამისად.“.

2. ბრძანებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელექტრონულად

ეკატერინე ტიკარაძე